განმარტებითი ბარათი

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის მიღება განაპირობებულია იმით, რომ ამ კოდექის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს „ბიოწარმოების შესახებ“ და „არაპროდუქტიული ცხოველების შესახებ დადგენილებები. ვინაიდან აღნიშნული ვალდებულებების განხორციელება შეუძლებელია მიმდინარე წლის ბოლომდე რადგან არ არის შემუშავებული დადგენილებების პროექტები გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო და დღემდე მიმდინარეობს მათზე მუშაობა, მიზანშეწონილია, მათი მომზადებისათვის ვადა გაგრძელდეს. „სურსათის/ცხოველის საკვების/უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ კოდექსის შესაბამისად, 2013 წლის პირველი იანვრიდან ცხოველის დაკვლის პროცესზე ზედამხედველობა უნდა განახორციელოს ვეტერინარმა ექიმმა (რომელიც არ წარმოადგეს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილ პირს) ან ვეტერინარმა ტექნიკოსმა ვეტერინარი ექიმის მეთვალყურეობით, ბიზნესოპერატორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ვეტერინარი ექიმი საქმიანობის დაწყებამდე სააგენტოს უგზავნის შეტყობინებას საქმიანობის დაწყების თაობაზე, სადაც უნდა მიეთითოს იმ ბიზნესოპერატორის დასახელება და ფაქტობრივი მისამართი, სადაც ვეტერინარი ექიმი განახორციელებს ზედამხედველობას. სააგენტო ვალდებულია დოკუმენტის მიღების შემდეგ ვეტერინარ ექიმს გადასცეს საიდენტიფიკაციო ბეჭედი, რომელზედაც მითითებული იქნება ვეტერინარი ექიმის სახელი და გვარი, აგრეთვე საიდენტიფიკაციო კოდი, რომელსაც სააგენტო ანიჭებს ვეტერინარ ექიმს.

თუ ცხოველის დაკვლის პროცესი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ვეტერინარი ექიმი გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის დოკუმენტს (ჯანმრთელობის სერტიფიკატს), რომელიც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია. დღემდე კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, კერძო ვეტერინარ ექიმს არ მოუმართავს სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის და არ არსებობს მონაცემები ვეტერინარ ექიმთა შესახებ, რომლებმაც 2013 წლის პირველი იანვრიდან უნდა განახორციელონ დაკვლის პროცესზე ზედამხედველობა ბიზნესოპერატორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და ასევე, მომზადებული არ არის სამართლებრივი ბაზა, რომლითაც დარეგულირდება პროცესი. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით მიზანშეწონილია, კოდექსით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 1 იანვრამდე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის" კოდექსში ცვლილების შეტანა, რომლის შესაბამისად, კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქართველლოს მთავრობამ უნდა მიიღოს „ბიოწარმოების შესახებ" და „არაპროდუქტიული ცხოველების შესახებ" დადგენილებები. ასევე, კოდექსის 38-ე მუხლის პირველი -მე-5 მუხლები უნდა ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის" კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქართველლოს მთავრობამ უნდა მიიღოს „ბიოწარმოების შესახებ" და „არაპროდუქტიული ცხოველების შესახებ" დადგენილებები. ასევე, კოდექსის 76-ე მუხლის მე-4 ნაწილში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, კოდექსის 38-ე მუხლის პირველი–მე-5 ნაწილები უნდა ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდეს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

კანონპროექტის მიღება არ წარმოსობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი გიგლა აგულაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი გიგლა აგულაშვილი